



ქვე უსწრაფვის იმედთან, ტოლერანტულ და სამართლიან სამყაროს,  
სადაც სიღარიბე დაძლეულია და ხალხი ღირსეულად და უსაფრთხოდ  
ცხოვრობს.

# 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერის პროგრამები

გამოცემა #6

სიღარიბესთან ბრძოლა  
ღირსების დასაცავად



## ამ ნომერში:

- ახალი ბიზნესები - ახალი შესაძლებლობები - 3გვ
- ქალთა ბიზნესები - 4გვ
- პირველი სრული სეზონი მექანიზატორთა ჯგუფებისათვის - 5გვ
- გრანტები სამუშაოსათვის - 6გვ
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 7გვ
- ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერება - 8გვ
- ახალგაზრდული კომპონენტი - 9გვ
- ახალი პროექტი სამუშაო ადგილების შესაქმნელად - 10გვ



# ახალი ბიზნესები - ახალი შესაძლებლობები


შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ დევნილთა ჩასახლებებში ქეა/SIIMS პროექტის მხარდაჭერით 31 ახალი ბიზნესი დაფინანსდა.

მცირე მაღაზიები, საცხოვრები, სილამაზის სალონები, სათბურები, მცირე სავაჭრო ობიექტები დევნილთა ჩასახლებებში გამოჩნდა. SIIMS პროექტი დევნილი ქალებისათვის საგრანტო კონკურსის მესამე რაუნდის დაწყებას გეგმავს და საბოლოოდ 84 ბიზნეს ინიციატივის დაფინანსებას ისახავს მიზნად.

დევნილ ქალთა ბიზნესის მხარდაჭერის სქემის განხორციელების პირველ ეტაპზე 28 ბიზნესი დაფინანსდა და საერთო შემოსავალმა 80.000 ლარზე მეტი (დაახლოებით 47.000 აშშ დოლარი) შეადგინა, რის შედეგადაც 54 ადამიანი (უმეტესად ქალები) დასაქმდა.



# ქალთა ბიზნესები



# პირველი სრული სეზონი მექანიზატორთა ჯგუფებისათვის

რვა სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ჯგუფი საგაზაფხულო სამუშაოებში აქტიურად ჩაერთო. მექანიზატორ-ფერმერთა ჯგუფები - სკრის, ახალსოფლის, ბერბუკის, ხურვალეთის, საქაშეთის, შავშვების, შაუმიანისა და კოდის დევნილთა დასახლებებსა და მათ მასპინძელ სოფლებში- არის შექმნილი.

მათ გაიარეს ტრენინგი ბიზნესის დაგეგმარებაში, ბიზნეს დოკუმენტაციის წარმოებასა და ბუღალტერიაში. დღეისათვის რვავე ჯგუფი კომერციულ საფუძველზე ფუნქციონირებს და უკვე მიღებული აქვთ 70 682 ლარის შემოსავალი (დაახლოებით 41 578 აშშ დოლარი). 2000-მდე იძულებით გადაადგილებულმა და ადგილობრივმა ფერმერებმა ისარგებლა სასოფლო-სამეურნეო მომსახურებებით და დამუშავდა 1200 ჰექტარზე მეტი ფართობი.

*ტენიკა, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ზრდის შემოსავალს და მოტივაციას გვაძლევს მეტი დრო და რესურსის ინვესტირება მოვახდინოთ სოფლის მეურნეობაში, რადგან სწორედ ეს არის შემოსავლის ძირითადი წყარო ჩვენს დასახლებაში,*

*როინ ოქროპირიძე,  
ბერბუკის მექანიზატორთა ჯგუფის  
ლიდერი*



# გრანტები სამუშაოსათვის

ადგილობრივ ბიზნესში დასაქმებული  
დევნილი, გორი



ქეა/SIIMS პროექტი “გრანტები სამუშაოსათვის”  
სქემის ფარგლებში წამოდგენილ ბიზნეს პროექტებს  
იხილავს

აღნიშნული სქემა მიზნად ისახავს სამუშაო ადგილების შექმნას დევნილი მოსახლეობისათვის. იგი გულისხმობს გაფართოვების პოტენციალის მქონე ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერას და ამგვარად იძულებით გადაადგილებულ პირების ხანგრძლივი დასაქმების შესაძლებლობებით უზრუნველყოფას.

31 შემოსული განაცხადიდან დაფინანსებისათვის 8 ბიზნეს გეგმა შეირჩა.

4 ადგილობრივი ბიზნეს პროექტი პირველ ეტაპზე დაფინანსდა და შეიქმნა 19 სამუშაო ადგილი.



# ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ქარელის კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებ დევნილებს უკვე შეუძლიათ ისარგებლონ სუფთა სასმელი წყლით ქეას მიერ განხორციელებული სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებით. გარდა ამისა, 5 საჯარო სკოლის სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც მიმდინარეობს.

ახალი/რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის ობიექტები დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაციის ხარისხის გაუმჯობესების პოზიტიურ მაგალითებს ქმნის

6000-მდე ოჯახმა შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში გაუმჯობესებული სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურით უკვე ისარგებლა.



**წყლის ტარება ერთი კმ-ის მანძილიდან გვინევდა ყოველ დღე და დიდ დროსა და ენერჯიას ვხარჯავდით ამაზე. ახლა სასმელი წყალი აქვე კოლექტიური ცენტრის ეზოში გვაქვს. ეს საშუალებას მადლევს მეტი დროი დავუთმო ოჯახზე ზრუნვას”**

# ადგილობრივი ორგანიზაციების გაძლიერება

პირველი ეტაპის შეფასებამ აჩვენა, რომ პროექტის ფარგლებში ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მუშაობან უნდა გაგრძელდეს, თუმცა ფოკუსირება მათი შესაძლებლობების განვითარებაზე და ადვოკატირებაზე უნდა მოხდეს.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით 2010 წლის ნოემბერში შიდა და ქვემო ქართლში დაფუძნებულ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებისთვის ა მეორე ტურის საგრანტო კონკურსი გამოცხადდა, რომელიც ადვოკატირების ინიციატივებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა და იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას ისახავდა მიზნად. შედეგად 23 აპლიკაცია იყო წარმოდგენილი.

საუკეთესო ცხრა ინიციატივა დაფინანსებისთვის შეირჩა. პროექტები შემდეგ მიმართულებებს მოიცავს: გარემო საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, როგორცაა ეკო-კლუბების დაარსება, მცირე გრანტების გაცემა გარემოს დაცვაზე ორიენტირებულ პროექტებზე. გარდა ამისა დაფინანსდა ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიკრო პროექტი დევნილი მოსახლეობისათვის.

ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებისათვის, ყველა აპლიკანტი ორგანიზაცია საგრანტო განაცხადების წერის შესახებ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრას დაესწრო.



# ახალგაზრდული კომპონენტი

3818 მოსწავლემ ლიდერული უნარ-ჩვევები სხვადასხვა ტრენინგების დახმარებით (კერძოდ ლიდერობა, ტოლერანტობა, კონფლიქტის მენეჯმენტი, ვოლუნტარიზმი და სხვა) გაიუმჯობესა. მოსწავლეები იმ 15 სკოლიდან არიან, სადაც იძულებით გადაადგილებული პირები და ადგილობრივი ახალგაზრდები 2008 წლის შემოდგომიდან ერთად სწავლობენ. ტრენინგი უნარ-ჩვევების განვითარებასა და დევნილ და ადგილობრივ მოზარდებს შორის ინტეგრაციას უწყობს ხელს.

ტრენინგების გარდა SIIMS-მა უზრუნველყო თხუთმეტივე სამიზნე სკოლა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ინვენტარითა და აღჭურვილობით. დღემდე 147 სპორტული და კულტურული ღონისძიება იყო ორგანიზებული, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთობების დამყარებასა და გაუმჯობესებას მოზარდებს შორის. 2.096 მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში. ამის პარალელურად პროექტის ფარგლებში რვა სამიზნე სკოლაში სასკოლო ინფრასტრუქტურა (როგორებიცაა, სასკოლო ბიბლიოთეკების ორგანიზება და რეაბილიტაცია, საკონფერენციო დარბაზების რეკონსტრუქცია და ა.შ) გაუმჯობესდა.

სპორტული და კულტურული ღონისძიებები, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ გვეხმარება უკეთესი ურთიერთობა გვექონდეს თანატოლებთან. ჩვენ დაგეგმვის პროცესში ვართ ჩართულები, რაც ახალ უნარ-ჩვევებს გვივითარებს.

გორის №2 საჯაროს კოლის მოსწავლე



# ახალი პროექტი სამუშაო ადგილების შესაქმნელად

ბიზნეს გრანტის მისაღებად შიდა ქართლის რეგიონში ქეას სულ 777 ადამიანმა მიმართა. გრანტები ახალი ბიზნესის დასაწყებად და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით გაიცემა. შემდგომ ეტაპზე ბიზნეს ტრენინგების გასავლელად მათგან 34 ადამიანი შეირჩა, რომლებიც მალე კონფლიქტის მიერ დაზარალებულ რეგიონში მცირე ბიზნესის წარმოებას დაიწყებენ.

პროექტი “შიდა ქართლში სამუშაო ადგილების შექმნა მცირე საწარმოების განვითარების გზით” 2011 წლის იანვარში დაიწყო და მიზნად ისახავს 80 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას სულ მცირე 20 ახალ გადამზადებულ და/ან აღჭურვილ ადგილობრივ ბიზნესში. ქეა მიზნად ისახავს ბიზნესს შემოსავლის და მოგების გაზრდაში დაეხმაროს, რაც მათ რეინვესტირებისა და გაფართოების შესაძლებლობას მისცემს და პოტენციური კრედიტორებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის. სამიზნე ჯგუფი მოიცავს შიდა ქართლის იმ მოსახლეობას, რომლებიც დაზარალდნენ აგვისტოს 2008 წლის ომის შედეგად. ესენია: იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე ისინი, რომლებიც დაუბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებელს და სხვა სოციალურად დაუცველი პირები.

პროექტი დაფინანსებულია გაეროს უმაღლესი კომისარიატის ოფისი დევნილთა საკითხებში (UNHCR)-ის მიერ. პროექტის საერთო ბიუჯეტი 362 688, 40 ლარია.



## ქეა საერთაშორისო კავკასიაში

ჭავჭავაძის პრ. 49ბ  
თბილისი 0162, საქართველო  
ტელ.: (+995 32) 291378 291941 291531  
ფაქსი: (+995 32) 294307  
E-mail: caucasus@care.org.ge  
www.care-caucasus.org.ge



თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია ქეას მუშაობის შესახებ, იხილეთ ჩვენი ვებგვერდი  
[www.care-caucasus.org.ge](http://www.care-caucasus.org.ge)